

ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი

სარჩევი

სამართლის სკოლა	3
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	3
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა	14
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	14
ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	24
ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	30
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა.....	37
ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	37
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	46
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	55

სამართლის სკოლა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

„სამართალი“

სწავლების საფეხური: აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VI დონე

ფართო სფერო: ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

Business, Administration and Law

ვიწრო სფერო: სამართალი (Law)

დეტალური სფერო: სამართალი (Law)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

Bachelor of Laws

პროგრამის ხაგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი

პროგრამაზე სწავლის წინაპირობა: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ სადრაძე

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესძინოს სტუდენტს: ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ასევე ქართული და რომის სამართლის ისტორიული წყაროების შესახებ; მისცეს საფუძვლიანი ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში.

გამოუმუშავოს სტუდენტს: სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების, იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის, სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების, ინფორმაციის მშობლიურ და ინგლისურ ენაზე მოძიებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერიტი ფორმით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადაცემის, პრაქტიკული საქმიანობისას ეთიკური ნორმების დაცვით და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების და ცოდნის მუდმივად განახლებისა და საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართავის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><u>აღწერს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, სამართლის ძირითად პრინციპებს და ფუნდამენტურ მახასიათებლებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, რომის სამართლის წყაროებს, რომის სამართლის ცალკეული დარგების თავისებურებებს. ▪ სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, მათ ურთიერთმიმართებას; ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; პიროვნების სამართლებრივ სტატუსს; საერთაშორისო საჯარო სამართლის არსს, ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს; საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს; თანაფარდობას საერთაშორისო და შიდა სამართალს შორის; ადმინისტრაციული სამართლის არსს, პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს; ადმინისტრაციული
-------------------------------------	--

	<p>წარმოების არსს, სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს; ადმინისტრაციული სამართალწარმოების არსს, ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და საქმის განხილვის თავისებურებებს.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამოქალაქო სამართლის არსს, მიზნებს, სისტემას, პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სამოქალაქო კანონმდებლობას, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ცნებას და მის შემადგენელ ელემენტებს; სანივთო სამართლის არსს, სტრუქტურას, ძირითად პრინციპებს, ურთიერთობათა რეგულირების წესებს; სახელშეკრულებო სამართლებრივ ინსტიტუტებს, სახელშეკრულებო სამართლის ფუნქციას; კანონისმიერი ვალდებულებით ურთიერთობების არსს, სტრუქტურას, ძირითად პრინციპებს, კანონისმიერვალდებულებით ურთიერთობათა რეგულირების წესებს; საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების წესებსა და თავისებურებებს; შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს და სადაო ურთიერთობების გადაწყვეტის სამართლებრივ გზებს; საკორპორაციო სამართლის არსს, პრინციპებს, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს; კორპორაციულ-სტრუქტურული საქმიანობის განხორციელების ძირითად პრინციპებს და თავისებურებებს; სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს. ▪ სისხლის სამართლის არსს, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, დანაშაულის არსს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სახეებს, სასჯელის დანიშვნის თავისებურებებს, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, პროცესის მონაწილე მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასამართლოში საქმის განხილვის სტადიებსა და თავისებურებებს.
<p>უნარი</p>	<p>II. საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში მიღებული საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე ამოიცნობს არსებულ პრობლემებს და სტანდარტული და/ან უახლესი მეთოდების გამოყენებით ახდენს მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების</p>

	<p>შემუშავებას.</p> <p>III. აიდენტიფიცირებს სამართლებრივ პრობლემებს და მათი გადაწყვეტისათვის მოიძიებს, განმარტავს და იყენებს შესაბამის ნორმატიულ საფუძვლებს;</p> <p>IV. ადგენს იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, კერძო და სისხლის სამართალწარმოების პროცესში; ადგენს ინდივიდუალურ და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს, ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებს;</p> <p>V. აანალიზებს საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს, სახავს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს და აყალიბებს საკუთარ სამართლებრივად დასაბუთებულ დასკვნას შერჩეული მიდგომის დასასაბუთებლად;</p> <p>VI. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციის-მეცნიერების სიახლეების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიებას ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე და განახლებული ცოდნით, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მოძიებული ინფორმაციის თაობაზე ამყარებს კომუნიკაციას ზეპირი და წერიტი ფორმით.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>VII. იცავს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმებს და სამართალწარმოების პროცესში მოქმედებს ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით;</p> <p>VIII. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივი განახლების უნარს;</p> <p>IX. წარმართავს თავის და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელის საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება), საბაკალავრო ნაშრომს (მომზადება და დაცვა). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ., ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: **თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტის** - 25 ECTS; **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი** -166 ECTS, მათ შორის: საბაზისო სასწავლო კურსები - 15 ECTS; საჯარო სამართლის მოდული - 45 ECTS; კერძო სამართლის მოდული - 50 ECTS; სისხლის სამართლის მოდული - 28 ECTS; პრაქტიკული კომპონენტი შეთავაზებული სამი სასწავლო კურსიდან (15 ECTS) სტუდენტმა სავალდებულოდ უნდა აირჩიოს - 5 ECTS; ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS; საბაკალავრო ნაშრომი - 8 ECTS; **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები** - 200 ECTS; მათ შორის: საბაზისო სასწავლო კურსები - 23 ECTS; საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 91 ECTS, მათ შორის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით - 20 ECTS, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - 37 ECTS, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით -34 ECTS; კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 48 ECTS, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 38 ECTS; **თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი** - 25 ECTS. სტუდენტმა არჩევითი სასწავლო კურსებით უნდა დააგროვოს 49 ECTS. მათ შორის 29 ECTS ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით, შეთავაზებული 200 ECTS - დან. 20 ECTS სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებით, იმავე საფეხურის სხვა პროგრამებიდან შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით ან ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით.

თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტით გათვალისწინებული ინგლისური ენის სასწავლო კურსი მიმართულია ინგლისური ენის შესწავლასა და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ასევე ინგლისურენოვანი წყაროების მოძიებასა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე. ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 20 კრედიტის ფარგლებში 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში; ICT წიგნიერება-5 კრედიტი, ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, საკომუნიკაციო უნარების ათვისებისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტის - 166 ECTS, მათ შორის: საბაზისო სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს - 15 ECTS. ამ კომპონენტის ათვისებით სტუდენტი შეიძენს ფართო თეორიულ ცოდნას სამართლის ძირითადი ცნებების, თეორიების, კატეგორიების, მეთოდებისა და სტადიების შესახებ, სამართლის ფუნქციების, სამართლის ნორმის სახეების, სტრუქტურის, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტების, იურიდიული ფაქტების, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიების, სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ, ასევე ქართული და სამართლის ისტორიული წყაროების, ძველი ქართული სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების, რომის სამართლის განვითარებისა და მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში (მათ შორის საქართველოს), რომის სამართლის გავლენის შესახებ.

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარს.

საჯარო სამართლის მოდული ორიენტირებულია: შესძინოს საფუძვლიანი ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში, გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, არსებული სამართლებრივი პრობლემის ამოცნობის, გადაწყვეტისა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბების, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების, თავისი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარნართვის უნარი.

მოდულის ათვისების შემდეგ სტუდენტი:

აღწერს: სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, მათ ურთიერთმიმართებას; ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; პიროვნების სამართლებრივ სტატუსს; საერთაშორისო საჯარო სამართლის არსს, ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს; საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს; თანაფარდობას საერთაშორისო და შიდა სამართალს შორის; ადმინისტრაციული სამართლის არსს, პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს; ადმინისტრაციული წარმოების არსს, სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს;

ადმინისტრაციული სამართალწარმოების არსს, ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და საქმის განხილვის თავისებურებებს.

აიდენტიფიცირებს საჯარო სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს და მოიძიებს მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიულ საფუძვლებს, განმარტავს და იყენებს მათ;

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ადგენს იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს (საჩივარი, სარჩელის და ა.შ.), ასევე ინდივიდუალურ და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;

არჩევს და იყენებს შესაბამის პროცესუალურ და მატერიალურ ნორმებს საჯაროსამართლებრივი მოქმედებების განხორციელებისას;

ახდენს საჯარო სამართლის სფეროში ქართულ და ინგლისურ ენაზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებას, აანალიზებს საჯარო სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მიდგომებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, გადაცემს ზეპირი და წერილობითი ფორმით.

იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართალწარმოებისას ინდივიდთა უფლებების განხორციელებასა და მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

ავლენს ცოდნს მუდმივი განახლების უნარს;

წარმართავს თავისი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში.

კერძო სამართლის მოდული ორიენტირებულია საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს სამოქალაქო სამართალი და გამოუმუშაოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბების, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილი ფორმით კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების, თავისი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარნართვის უნარი.

კერძო სამართლის მოდულის ათვისების შემდეგ სტუდენტი აღწერს:

სამოქალაქო სამართლის მიზნებს, წყაროებს, ძირითად ცივილურ კატეგორიებს, პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად დებულებებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებს, სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებსა და საქმის სასამართლოში განხილვის თავისებურებებს.

აიდენტიფიცირებს კერძო სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს და მოიძიებს მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიულ საფუძვლებს, განმარტავს და იყენებს მათ;

ადგენს კერძოსამართლებრივი შინაარსის დოკუმენტებს.

არჩევს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს კერძოსამართლებრივი მოქმედებების განხორციელებისას;

ახდენს კერძო სამართლის სფეროში ქართულ და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებას, ანალიზებს კერძო სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მიდგომებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, გადაცემს ზეპირი და წერიტი ფორმით.

იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ნორმებს და სამართალწარმოებისას მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

ავლენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარს;

წარმართავს თავის და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპით.

სისხლის სამართლის მოდული ორიენტირებულია: შესძინოს სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში, გამოუმუშაოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სისხლის სამართლის სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობის, გადაჭრისა და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების, თავისი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარნართვის უნარი.

მოდულის ათვისების შემდეგ სტუდენტი აღწერს:

დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობის თავისებურებებს, სისხლის სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებსა და საქმის სასამართლოში განხილვის თავისებურებებს;

აიდენტიფიცირებს სისხლის სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს და მოიძიებს მისი გადაჭრის ნორმატიულ საფუძველებს, განმარტავს და იყენებს მათ;

ადგენს სისხლის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს;

არჩევს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს სისხლის სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებისას;

მოიძიებს სისხლის სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციას მშობლიურ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის მეცნიერების სიახლეებს, საკანონმდებლო ცვლილებებსა და სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაჭრის მიდგომებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, გადაცემს ზეპირი და წერიტი ფორმით.

იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და სისხლის სამართალწარმოებისას მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით.

ავლენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარს;

წარმართავს თავის და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპით.

პრაქტიკული კომპონენტი ორიენტირებულია: შესძინოს სტუდენტს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი იმიტირებულ სასამართლო პროცესებში ჩართვისა და აქტიური მონაწილეობის მეშვეობით;

სტუდენტი ასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს, შესაბამისი უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით. ადგენს შესაბამის დოკუმენტებს და იყენებს მას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად, გამოაქვს შესაბამისი დადგენილებები, განჩინებები და სხვ. სახის იურიდიული დოკუმენტები. საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, ადამიანის უფლებებს და მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით;

მუდმივად განიახლებს ცოდნას;

წარმართავს თავისი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.

სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია: აათვისებინოს სტუდენტებს სამართლებრივი წერის კულტურა, იურისტის პროფესიული ეთიკური ქცევის სტანდარტები, ინგლისურ ენაზე სამართლებრივი ლიტერატურის მოძიების, გამოყენების და კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტი

აღწერს სამართლებრივი წერის და იურისტის საქმიანობის პროფესიულ სტანდარტებს. ახდენს სამართლებრივი წერის და იურისტის პროფესიული ეთიკური წესების დარღვევის იდენტიფიცირებას და სფეროში არსებული მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;

ადგენს იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს წერისა და ეთიკის ნორმების დაცვით; აანალიზებს პროფესიული ეთიკის სფეროში არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის მიდგომებს და აყალიბებს საკუთარ დასაბუთებულ დასკვნებს;

მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით და ამყარებს კომუნიკაციას;

იცავს სამართლებრივი წერის სტანდარტების და იურისტის საქმიანობის ეთიკის ნორმებს;

ავლენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარს;

წარმართავს თავის და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპით.

სწავლება - სწავლის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი), ელექტრონული რესურსით სწავლება. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, წიგნზე მუშაობას, წერით მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), გონებრივ იერიშს (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (IBD), როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზს, ევრისტიკულ მეთოდს, დისკუსია/ დებატებს, პრეზენტაციას, პრაქტიკულ მეთოდებს, დამოუკიდებელ სწავლას და სხვ. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საკონტაქტო პირი:

ნინო გაგუა

სამართლის სკოლის დეკანი, ასისტენტ პროფესორი

ტელ.: (+995) 599 100 259

ელ-ფოსტა: gaguanino13@gmail.com

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
Bachelor of Business Administration

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: თ. დოლიაშვილი, პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს;

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება); საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება-დაცვა) და პრაქტიკას (ანგარიშის მომზადება და დაცვა).

- 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს.
- საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ.

პროგრამის მიზანი

მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესები, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ინსტიტუტების შექმნა, საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის აქტუალურობა, კერძო სექტორის გაძლიერება და სწრაფი განვითარება, დამსაქმებელთა მოთხოვნები, ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებში ბიზნესის ადმინისტრირების დარგების გაზრდილი როლი, მის წინაშე არსებული გამოწვევები და სხვადასხვა ზომისა და სტრუქტურის მქონე ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა მოითხოვს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ყველა მიმართულებით. გარდა ამისა, სტუდენტებს განუვითაროს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება. მოამზადოს იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ მათ მომავალი საქმიანობა; კურსდამთავრებულები შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ მუდმივად ცვალებადი სამყაროს კარიერულ გამოწვევებს, გამოავლინონ დარგობრივი და ტრანსფერული უნარები პროფესიული მოვალეობების შესრულების, ცოდნისა და კომპეტენციების მუდმივი განახლების საკითხებში. ჩამოუყალიბდეთ ეროვნული ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებების, ასევე ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრული თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა, რათა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა შეძლოს ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში

სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების და კომპეტენციების გამოყენება ბიზნესის სფეროში მუშაობისას ან საზოგადოებრივი საქმიანობის დროს.

პროგრამის სტრუქტურა

”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. ”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში და პრაქტიკა. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. თავისუფალ კომპონენტებში მოიაზრება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამა	240 კრედიტი:
სავალდებულო კომპონენტები:	195 კრედიტი
• საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები:	10 კრედიტი
• უცხო ენის კომპონენტი (ზოგადი)	20 კრედიტი
• სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები:	145 კრედიტი
• საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში	10 კრედიტი
• პრაქტიკა:	10 კრედიტი
თავისუფალი კომპონენტები:	45 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები;	
• თავისუფალი სასწავლო კურსები.	

შენიშვნა: არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომლებიც მოიაზრება საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაძლევის შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსიას, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულს, დემონსტრირებას.

სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე, ან ნებისმიერი სხვა მეთოდი პროფესორის შეხედულების შესაბამისად, რის შედეგად სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს ფართო ცოდნა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსები და ბუღალტერია, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები) და აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს. საბაზრო ეკონომიკის თავისებურებების, ფუნქციებისა და ორგანიზაციის ეკონომიკური როლის კრიტიკული გააზრების საფუძველზე აცნობიერებს ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის. • ორგანიზაციის, ადამიანური რესურსების, სტრატეგიული მართვის სფეროს. კერძოდ იცის: ორგანიზაციის ადამიანური რესურსების,
-------------------------------------	--

	<p>სტრატეგიული მართვის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, კონცეფციები, ფუნქციები, პრინციპები, მეთოდები და გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე ტექნოლოგიები. აცნობიერებს ამ სფეროსათვის დამახასიათებელ კომპლექსურ საკითხებს არსებული პრინციპების კრიტიკული გააზრების საფუძველზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციების და პრინციპების, მარკეტინგული ინსტრუმენტების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე გავრცელების მეთოდების და მათი შერჩევის განმსაზღვრელი ფაქტორების. კრიტიკული გააზრების საფუძველზე აცნობიერებს მარკეტინგული საქმიანობის კომპლექსურ საკითხებს ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე. • ფინანსების მართვის სისტემების, ფინანსური კონტროლის მექანიზმების, ფინანსური ინსტიტუტების, ფინანსური ბაზრების, კორპორაციის ფინანსური საქმიანობის და ფინანსური პოლიტიკის შესახებ. აცნობიერებს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის კომპლექსურ საკითხებს არსებული პრინციპების კრიტიკული გააზრების საფუძველზე. • ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის, ძირითადი პრინციპებისა და დაშვებების, საგადასახადო სისტემის ელემენტების, რესურსების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშების შესახებ ბასს-ის და ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად. • სამეწარმეო სამართლის საკითხებში, აცნობიერებს პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ეხება სამეწარმეო სამართლის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს. • სისტემური თეორიული და პრაქტიკული ლოგისტიკის შესახებ, აცნობიერებს თანამედროვე კონკურენტულ გარემოში მატერიალური და არამატერიალური ნაკადების მიწოდებათა ჯაჭვის მართვის საკითხებს. • ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში სამუშაოს შესრულება წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად; ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა ორგანიზაციული პროცესების პირველადი ანალიზი, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელება წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად. • ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული რაოდენობრივი და სტატისტიკური

მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად.

- ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება-წარდგენა, თავმოყრა და კლასიფიცირება.
- ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესის მონაწილეებთან (მათ შორის, ინტერდისციპლინურ ჯგუფში) მუშაობა და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სამუშაოს შესრულება და კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავება/განხორციელება, მიზნების და ამოცანების ფორმულირება, სავარაუდო შედეგების განსაზღვრა და შეფასება, ადეკვატური მეთოდების და რესურსების შერჩევა-გამოყენება, სამუშაოს ურთიერთდაკავშირებულ თანმიმდევრულ კომპონენტებად დაყოფა, სამუშაოს შესრულების რაციონალური განრიგის შედგენა, დროის დაგეგმვა და სამუშაოს შესრულება დაგეგმილ ვადებში.
- ორგანიზაციის, ადამიანური რესურსების მართვისა და სტრატეგიული დაგეგმვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- ბაზრის პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრების/სეგმენტების შერჩევა, საბაზრო მოთხოვნის განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე და შესაბამისი მარკეტინგული კომპლექსების დამუშავება.
- ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა, მართვა და სწორი გადაწყვეტილების მიღება, ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების განხორციელება, კორპორაციების ფინანსების მართვის სფეროში თანამედროვე მოდელების გამოყენება, სწორი საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ფინანსური პროექტების მომზადება და განხორციელება.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება და დანიშნულებისამებრ წარდგენა-გამოყენება, ამ დოკუმენტის ზუსტი ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის სწორი ანალიზი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, საწარმოს/ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და სხვ.
- საგადასახადო კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი მეთოდებისა და ფორმების შერჩევა.
- სწორად შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი ვითარება და იპოვოს სათანადო გამოსავალი პრობლემური სიტუაციიდან.

	<ul style="list-style-type: none"> • ლოგისტიკური პროცესების და ოპერაციების ანალიზი და შეფასება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. • სამსახურებრივ უფლებამოსილებათა წარმატებით განხორციელება როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობისას.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების დემონსტრირება და ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და კონტროლის მექანიზმების შეფასება; • ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი, გადაჭრის გზების შერჩევა და დასაბუთება, დასკვნის ფორმულირება და არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება; • ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული (თანამედროვე) მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება; • ეკონომიკაში, მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში, რეალურ სექტორში მიმდინარე პროცესების, მოვლენებისა და ტენდენციების განჭვრეტა და ანალიზი; • ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის ასპექტების ანალიზი და შეფასება რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების კომბინირებით; • სოციალური, პროფესიული და ეთიკური პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული მოსაზრების ფორმულირება, დასაბუთება და დაცვა; • წარმოქმნილი ეთიკური პრობლემების ამოცნობა, გამოკვლევა და გადაჭრის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება; • საკუთარი შესაძლებლობებისა და შესრულებული სამუშაოს თვითანალიზი და თვითკრიტიკა.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციის მართვის სტრუქტურულ, ორგანიზაციულ, სტრატეგიულ, ტაქტიკურ, ტექნიკურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია; • იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე; • ქართულ/ინგლისურ ენაზე წერიტი და ვერბალური კომუნიკაცია ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, დიალოგის წარ-

	<p>მართვა, საქმიან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, დასაბუთება და მოსაზრებების გადმოცემა, ამავედროულად სხვისი აზრის გაზიარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისურენოვანი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის, ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობა, ინფორმაციის მოძიება და ქართულად თარგმნა; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტის, კონკრეტული ამოცანის გადაჭრისა და კომუნიკაციის მიზნით; • ბიზნეს-კომუნიკაციის პროცესის დაგეგმვა-წარმართვა და პარტნიორულ ურთიერთობათა დამყარება.
<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება; • მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების, ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პროფესიული პასუხისმგებლობა და ბიზნესის ადმინისტრირების ეთიკური ასპექტების გაცნობიერება; • პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმება

შუალედურ და დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21, მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა, მაქს. ქულა - 40). პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა) დაინიშნება დასკვნითი გამოცდის (საბაკალავრო ნაშრომის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის) შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს (ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი, ახლიდან ექნება პრაქტიკა გასავლელი) და ჩააბარებს გამოცდას (დაიცავს საბაკალავრო ნაშრომს, პრაქტიკის ანგარიშს).

საკონტაქტო პირი:

ქეთევან ნანობაშვილი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი

ტელ.: (+995) 599 54 67 05

ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@sdasu.edu.ge

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ტურიზმი (Tourism)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი Bachelor of Tourism

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება); პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც ექნება ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნა. სტუდენტს გამოუმუშავებს ტურისტული ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით რესურსების გამოყენების, დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზების, შეფასების, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; ასევე, გამოუმუშავებს ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაციას, პროფესიულ და პიროვნულ პასუხისმგებლობას. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამოუმუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. პროგრამის მიზნები შესაბამისია უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

პროგრამის სტრუქტურა

”ტურიზმის” ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა

240 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები / კომპონენტები: 137 კრედიტი

მათ შორის

- სავალდებულო 119 კრედიტი
- არჩევითი 18 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტი:

103 კრედიტი

- სავალდებულო 88 კრედიტი
- არჩევითი 15 კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს როგორც პროგრამის სასწავლო გეგმიდან, ასევე უმაღლესი სასწავლებლის იმავე საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომელთა/რომლის არჩევაც შეუძლია სტუდენტს მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვლასაწიერის გაფართოების მიზნით

სწავლება-სწავლის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, როლურ და სიტუაციურ თამაშებს და სხვ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ჩამოთვლის და აყალიბებს სფეროს ძირითად ტერმინოლოგიას და ცნებით აპარატს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; 2. განსაზღვრავს ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს; 3. აღწერს და ხსნის ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში, კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს; 4. ხსნის ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს;
<p>უნარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 5. ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის არჩევს და იყენებს მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს; 6. სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე ადგენს ტურისტულ პროდუქტს და შეიმუშავებს ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს; 7. ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს; 8. ამუშავებს ექსკურსიების და ტურისტულ მარშრუტების პროექტებს, ასევე, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს; 9. ანალიზებს განყენებულ სიტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს; 10. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს სემინარს /დამოუკიდებელ სამუშაოს

	/პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას; ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან;
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>11. დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს და ზრუნავს მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, ცოდნის მუდმივ განახლებაზე. აფასებს სწავლის პროცესს და მიღებული ცოდნის საფუძველზე შემდგომი სწავლის საჭიროებას;</p> <p>12. მოქმედებს ტურისტულ პროფილის საწარმოსა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური, პროფესიული და კულტურული პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების შესაბამისად.</p>

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორების მიერ (მინ. 21; მაქს. 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40

ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:

ქეთევან ნანობაშვილი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი

ტელ.: (+995) 599 54 67 05

ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@sdasu.edu.ge

**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:
ინფორმაციული ტექნოლოგიები (Information Technologies)**

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
Bachelor of Information Technologies

პროგრამის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ნანობაშვილი, პროფესორი
გიორგი კაკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ). პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი. მისცეს ფართო ცოდნა სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მზად იყვნენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა; განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების დაპროექტებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში; ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსების განვითარებაში; გამოუმუშავოს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების, ვებ ტექნოლოგიების, მედია აპლიკაციების შექმნის, ოპერაციულ სისტემებში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციის, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების აგების, სერვისული მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის შენარჩუნებისა და გამართვის უნარი. ასევე, გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

პროგრამის აქტუალობა და ანალოგები

საზოგადოების ინტერესი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით თანდათანობით იზრდება. დღითიდღე მოთხოვნადი ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესია ყველა ტიპის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. წინამდებარე საბაკალავრო პროგრამას გააჩნია პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ განავითარონ ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგობრივი სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამავდროულად საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა, კურსდამთავრებულს

საშუალებას აძლევს, რომ საერთაშორისო შრომის ბაზარზე იყოს მოთხოვნადი. პროგრამა ემყარება დასავლეთის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილებას^{1,2}

პროგრამის სტრუქტურა

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამა	240 კრედიტი:
<i>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები:</i>	180 კრედიტი
• სავალდებულო სასწავლო კურსები:	135 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები:	45 კრედიტი
<i>თავისუფალი კომპონენტები:</i>	60 კრედიტი
• სავალდებულო სასწავლო კურსები:	30 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები:	30 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სდასუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსები. არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

¹ https://www.unyp.cz/academic-programs/bachelors-programs/bachelor-information-technology?utm_campaign=study-portals&utm_medium=button-ba&utm_source=educations-com&fbclid=IwAR3tg-MUU_u0kRUzI7JdJmX2HKT_wopuoYBX6bYtDvkBw4hisTkoT5Xk2oE

² <https://tudublin.ie/study/undergraduate/courses/computing-tu860/?courseType=Undergraduate&keywords=&fbclid=IwAR1vraQRZQ1yB59dPmwnRsCQ1aS96f-kpqN-3S7vpdNSIoVyZiak68B6Awg>

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. აღწერს კომპიუტერული სისტემების და საკომუნიკაციო ქსელების არქიტექტურის, ალგორითმების აგების, პროგრამირების ენების, მონაცემთა ბაზების, მედია და მობილური აპლიკაციების, კომპიუტერული გრაფიკისა და Web-ტექნოლოგიებთან მუშაობის ძირითად პრინციპებს, სტატისტიკურ მეთოდებს და მათემატიკურ თეორიებს, ინფორმაციული სისტემების დაპროექტების და ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის კონცეფციებსა და მეთოდებს.
უნარი	<ol style="list-style-type: none"> 2. არჩევს ქსელის დიზაინს, იყენებს ინსტალირების მეთოდებს და ორგანიზებას უწევს ქსელის ადმინისტრირებას. 3. იყენებს გრაფიკულ ელემენტებს, კასკადურ სტილებს (CSS), ჰიპერტექსტის მონიშვნის ენას (HTML), პროგრამულ სკრიპტებს (JavaScript, JQuery) Web-გვერდების დაპროექტებისათვის. 4. ამუშავებს შესაბამის ალგორითმებს, იყენებს პროგრამულ ენებს, ასევე

	<p>ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიებს.</p> <p>5. იყენებს ინფორმაციის მოძიების, სისტემატიზების, შენახვის მეთოდებს და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს.</p> <p>6. აფასებს კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრებს, არჩევს კომპიუტერული სისტემის კომპონენტებს კომპიუტერის ადმინისტრირებისთვის.</p> <p>7. იყენებს მედია აპლიკაციების CMS სისტემებს, როგორებიცაა Blogger, Wordpress, Wix ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გამოქვეყნებისთვის.</p> <p>8. ახორციელებს Android და IOS ოპერაციულ სისტემაში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციას.</p> <p>9. <i>ორგანიზებას უწევს დაგეგმილ საქმიანობას, იყენებს გუნდში სასარგებლო წევრობის ან ლიდერობის უნარს.</i></p> <p>10. ამოცანის სპეციფიკის მიხედვით და მოძიებული ინფორმაციის ანალიზით განსაზღვრავს პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს და აყალიბებს სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად დასაბუთებულ დასკვნებს.</p> <p>11. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს პროექტს და ახდენს მის პრეზენტირებას; ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>12. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით.</p> <p>13. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.</p>

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ

ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

▪ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის საქმიანობა პრაქტიკის ობიექტზე ვასდება მენტორების მიერ (მინ. 21; მაქს. 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). მენტორის მიერ სტუდენტის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ნანობაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი
ტელ.: (+995) 599 54 67 05
ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@sdasu.edu.ge

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
Bachelor of Social Sciences

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა დოლიძე

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

„ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ჟურნალისტიკის სფეროს ფართო ცოდნა და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, დარგობრივი და ტრანსფერული უნარები; პროფესიონალური ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, შემდგომი პროფესიონალური განვითარების მოტივაცია; სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია; პროფესიონალური და პიროვნული პასუხისმგებლობა; და შეძლებს: ჟურნალისტიკის პრინციპების და თეორიების, ფუნქციონალური სფეროების თავისებურებებისა და ურთიერთკავშირების კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმას, სფეროს ფართო ცოდნის დემონსტრირებას და ტერმინოლოგიის მართებულ გამოყენებას; წარმატებული ჟურნალისტური საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორების, მათ შორის, მასობრივი კომუნიკაციის სწორ გაცნობიერებას; თანამედროვე პირობებში მედიის ფუნქციონირების, მდგრადი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორებისა და „პიარის“ კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე პროცესების გაცნობიერებას, გაანალიზებას და სამაუწყებლო თუ ბეჭდური მედიის საქმიანობის გზების ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრას; მედიაორგანიზაციის მენეჯმენტის პრობლემების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გადაჭრის გზების შეთავაზებასა და სტრატეგიების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობას; ჟურნალისტიკის სფეროში მიმდინარე პროცესების და მოვლენების შეფასება-ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება-დასაბუთებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვას; სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული სტატისტიკური და სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით მედია საქმიანობის მაჩვენებლების შესწავლას, მონაცემების ანალიზს, სინთეზს და შედეგების განმარტებას და დასაბუთებას; დამოუკიდებლად და სამუშაო ჯგუფში მუშაობას და წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე პრაქტიკული ხასიათის მედიაპროექტის შემუშავებას და განხორციელებას, შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად დაგეგმვას; მასმედიასთან დაკავშირებული საკითხების გაგება-გაანალიზებას და მიღებული ცოდნის გამოყენებას, სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, წერით და ვერბალურ კომუნიკაციას, შესწავლილი მასალის პრაქტიკაში გამოყენებას კომუნიკაციისა და პროფესიული საქმიანობის დროს. დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება-წარდგენას და მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციას, უცხოურ ენაზე საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას, წაკითხული ინფორმაციის გააზრებას, ინტერპრეტაციას, ქართულ ენაზე თარგმნას და უკუთარგმნის შესრულებას, ინფორმაციის გადაცემას სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის;

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას როგორც სამუშაოს შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის, ისე ინფორმაციის (მათ შორის ინტერნეტ-რესურსებიდან) მოძიების მიზნით: საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულ და მრავალმხრივ შეფასებას, ცოდნის მუდმივი განახლების, უნარების თანმიმდევრული განვითარების, მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და ახალი სპეციალური მონაცემების ათვისების აუცილებლობის გაცნობიერებას და შემდგომი სწავლის საჭიროების ობიექტურად განსაზღვრას; ჟურნალისტიკის კლასიკური და უახლესი გამოცდილების ბაზის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლების, საქართველოს თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურებების, საინფორმაციო საზოგადოების არსის, ჟურნალისტიკისა და მასმედიის თანამედროვე ხედვის კონცეფციების, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორების და მათი მნიშვნელობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების, მედია-სამართალისა და მედიამენეჯმენტის ეფექტურად გამოყენებას; საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით სწავლების დასრულების შედეგად ბაკალავრს უყალიბდება სოციალური და სამოქალაქო პოზიცია, შემდგომი პროფესიული განვითარების მოტივაცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მედია სფეროს კონკრეტულ პრაქტიკულ სპეციალობაზე, ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნაზე, უნარებზე და კომპეტენციებზე და მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ ტიპს, აქვს პრაქტიკული პროფილი. წინამდებარე პროგრამაში ხდება ძირითადი სპეციალობის (ჟურნალისტიკის) და თავისუფალი კომპონენტების კომბინირება და სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების ჩამოყალიბება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სინთეზის საფუძველზე. „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის პროფილის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და სოციალური მეცნიერებების ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი ცოდნის (სპეციალობის) და ზოგადი ცოდნის (ზოგადინტელექტუალური და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარების) სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და სპეციალობაში სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი. ზოგადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობის ხელშემწყობი სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები და თავისუფალ კომპონენტებში მოიაზრება

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა შესაძლებელია ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავენ საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

სავალდებულო კომპონენტები:	170 კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები:	
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები;	30 კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;	140 კრედიტი
არჩევითი კომპონენტები:	70 კრედიტი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;	
საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები	
თავისუფალი კომპონენტი	

შენიშვნა: თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომლებიც მოიაზრება საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) აღმწერის სათანადო დონით:

ცოდნა და გაცნობიერება	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მედიის ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აღწერა. • ჟურნალისტიკის სფეროსთან დაკავშირებული თეორიების, კონცეფციების, ძირითადი პრინციპების და სფეროს ცოდნის დემონსტრირება; • მედიაორგანიზაციის მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ჩამოთვლა და განმარტება;
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • ჟურნალისტიკის, მასობრივი კომუნიკაციის, მედიამენეჯმენტისა და სამაუწყებლო მედიის საკითხების ურთიერთდაკავშირება; • ჟურნალისტიკის მახასიათებლების ჩამოთვლა, კლასიფიცირება და განხილვა; • მედიის სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ცოდნის დემონსტრირება და ტერმინების განმარტება; • „პიარის“ ტექნოლოგიების თავისებურებების დასახელება და ახსნა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მედიასაქმიანობის მართვის და რეგულირების მექანიზმების დახასიათება, პრობლემების შესწავლა გამორჩეული სტატისტიკური და სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით, მიღებული შედეგების კონკრეტიზება და ახსნა; • ჟურნალისტიკის სფეროებში ტაქტიკური სამუშაოს შესრულება წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად; • მედიაორგანიზაციის მენეჯმენტთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება, არსებული პრობლემების მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება, ახსნა, შეფასება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაჭრის გზების შეთავაზება და კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა; • მედიაპროექტის შემუშავება და განხორციელება - მიზნების და ამოცანების ფორმულირება, სავარაუდო შედეგების განსაზღვრა ადეკვატური მეთოდების და რესურსების შერჩევა-გამოყენება; • ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლების, საქართველოს თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურებების, საინფორმაციო საზოგადოების არსის, ჟურნალისტიკისა და მასმედიის თანამედროვე ხედვის კონცეფციების, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორების და მათი მნიშვნელობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების, მედია-სამართალისა და მედიამენეჯმენტის ეფექტურად გამოყენება; • ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გეგმების მომზადება-წარდგენა, თავმოყრა და კლასიფიცირება; • მასობრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების მომზადება, ამოცანების დასახვა, რესურსების და ინსტრუმენტების შერჩევა-გამოყენება, შესრულებულ სამუშაოზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება. • ჟურნალისტიკის სფეროს ფართო ცოდნის დემონსტრირება;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მედიაპროექტის დაგეგმვის, ორგანიზების და კონტროლის მექანიზმების ანალიტიკური შეფასება;

	<ul style="list-style-type: none"> • ჟურნალისტური საქმიანობის იდენტიფიცირება და ანალიზი, გადაჭრის გზების შერჩევა და დასაბუთება, დასკვნის ფორმულირება და არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება; • მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთვის მნიშვნელოვანი სოცილური კვლევის მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა მასალების, ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების, შეგროვება და დაჯგუფება, ანალიზი და სინთეზი, განმარტება და შეფასება; • მედიის სფეროში მოვლენებისა და ტენდენციების განმარტება და ანალიზი; • ჟურნალისტური საქმიანობის ასპექტების ანალიზი და შეფასება რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების კომბინირებით; • სოციალური, პროფესიული და ეთიკური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოსაზრების ფორმულირება, დასაბუთება და დაცვა; • საკუთარი შესაძლებლობების და შესრულებული სამუშაოს თვითანალიზი და თვითკრიტიკა; • წარმოქმნილი ეთიკური პრობლემების ამოცნობა, გამოკვლევა და გადაჭრის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მედიაორგანიზაციის სტრუქტურულ, ორგანიზაციულ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია; • მედიასაქმიანობაში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, წინადადების, იდეების და მოსაზრებების ჩამოყალიბება, განმარტება და პრეზენტაცია; • ქართულ/უცხოურ ენაზე წერითი და ვერბალური კომუნიკაცია მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე (პრობლემები, იდეები, გადაჭრის გზები), ინფორმაციის გადაცემა, საქმიან დისკუსიაში მონაწილეობა და უცხოურ ენაზე დიდი ძალისხმევის გარეშე სხვადასხვა თემებზე საუბარი და დამოკიდებულების გამოხატვა; შესწავლილი მასალის პრაქტიკაში გამოყენება კომუნიკაციისა და პროფესიული საქმიანობის დროს; • სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის განხორციელება; ზუსტი და დეტალური წერილობითი მოხსენების მომზადება და საკითხის ან პრობლემის შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, დასაბუთება და მოსაზრებების გადმოცემა; სპონტანურ და შეუფერხებელ, მკაფიო და დეტალური საუბარი და ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრი-

	<p>დან დიდი ძალისხმევის გარეშე; წაკითხულის, განცდილის თუ ნანახის შესახებ მოსაზრებების, შთაბეჭდილებების დიალოგური და მონოლოგური ფორმით გადმოცემა და წარმოქმნილი პრობლემის ან რაიმე საკითხის შესახებ საკუთარი დამოკიდებულებისა და მოსაზრების გამოხატვა; ინგლისურენოვანი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის ინგლისურენოვანი ინტერნეტრესურსებით, სარგებლობა; ინგლისურენოვანი ინფორმაციის და მასალების მოძიება და ქართულად თარგმნა;</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება - საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და პრეზენტაციების მომზადება; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საქმიანი დოკუმენტების შედგენა, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტის, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის მიზნით.
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება; • მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
<p>ღირებულებები</p>	<p><u>ბაკალავრს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პროფესიული პასუხისმგებლობა და ჟურნალისტიკის სფეროს ეთიკური ასპექტების გაცნობიერების უნარი; • პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (მაქს. 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმებია შუალედურ და დასკვნითი შეფასება (მაქს. 40 ქულა). შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის დაცვა) დაინიშნება დასკვნითი გამოცდის (საბაკალავრო ნაშრომის დაცვის) შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს (ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი) და ჩააბარებს გამოცდას (დაიცავს საბაკალავრო ნაშრომს).

საკონტაქტო პირი: მაია ჭანია

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი

ტელ.: (+995) 514 404 400

ელ-ფოსტა: maiachania@gmail.com

საბაკალავრო პროგრამის დასახელება
„საერთაშორისო ურთიერთობები“

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი(I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მიმართულება: სოციალური მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობებისბაკალავრი
Bachelor of International Relations

დარგი/სპეციალობა:საერთაშორისო ურთიერთობები

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

„საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, სისტემისა და მასში მიმდინარე ინსტიტუციური, პოლიტიკური და სხვ. პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიული ცოდნა. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და სამართლებრივი ასპექტების, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური დასოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებებისა და ახალ მსოფლიო მოდელში საქართველოს როლის გაცნობიერების, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესების თავისებურებების გათვალისწინების, სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, რელევანტური მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ქართულ და უცხოურ (ინგლისურ და ფრანგულ) ენებზე კომუნიკაციის დამყარების და სხვა უნარ-ჩვევები. ჩამოყალიბებული ექნება ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად საჭირო უნარ-ჩვევები ასევე, პიროვნული და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას.

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობა და არჩევითი და/ან თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები. თანმიმდევრული სტრუქტურა, უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. პროგრამაში ხდება ძირითადი სპეციალობის და არჩევითი და/ან თავისუფალი კომპონენტების კომბინირება და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური

ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის და უნარების სინთეზის საფუძველზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. „საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკისსფეროსთანდაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები, არჩევითი და/ან თავისუფალი კომპონენტები, რომელშიც მოიაზრება თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა შესაძლებელია სპეციალობის არჩევითი კურსებიდან და ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად.

„საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკალავრო პროგრამა	240 კრედიტი:
სავალდებულო კომპონენტები:	150 კრედიტი
• საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები;	50 კრედიტი
• სპეციალობის სავალდებულო კომპონენტები:	150 კრედიტი.
<u>მათ შორის:</u>	
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;	145 კრედიტი
საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში;	5 კრედიტი
არჩევითი და/ან თავისუფალი კომპონენტები:	40 კრედიტი
• საბაკალავრო პროგრამისარჩევითი სასწავლო კურსები;	
• თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები.	

შენიშვნა: არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომლებიც მოიაზრება საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებ-

ლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლოკურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითადი პრინციპებისა და თავისებურებების, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებისა და მათთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების, საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო სისტემის ფორმირებაში; • მსოფლიოში მიმდინარე და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების თავისებურებების, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის როლსა და მნიშვნელობას; • საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, პოლიტიკური და სხვ. პროცესებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და სამართლებრივ ასპექტებს; • საერთაშორისო წესრიგის ფაქტორებს, გლობალიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემებს და მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების თავისებურებებს; • თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის, საქართველოს საგარეო პილიტიკის საკვანძო საკითხების და ახალ მსოფლიო მოდელში საქართველოს როლის; • საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და განხორციელების ასპექტებს, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებების ცნებებს, ელემენტებსა და ტერმინოლოგიას; • დიპლომატიური ეტიკეტის სპეციფიკას, საქმიანი ურთიერთობების, პროტოკოლის და ეტიკეტის როლსა და გამოყენების წესს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • წინასწარ მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, კვლევითი ან პრაქტიკული

	<p>ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ საქმიანობაში საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და სამართლებრივი ასპექტების, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების თავისებულებების გათვალისწინება; • წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების შერჩევა და გამოყენება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და მოქმედება კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკისა და განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით; • წინასწარ მიღებული მითითებების შესაბამისად დიპლომატიური შინაარსის დოკუმენტების (წერილის, ნოტის, პროექტის, ხელშეკრულების და ა.შ.) შედგენა, სამუშაოს შესრულებისას სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, რელევანტური წყაროების შერჩევა, მონაცემების/ინფორმაციის სანდოობის შემოწმება, დამუშავება და გამოყენება.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა წყაროებიდან თეორიული თუ ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება-შეგროვება, მონაცემების დაჯგუფება და კლასიფიცირება, სიტუაციების/ინფორმაციის შესწავლა და შეფასება, კვლევის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით მათი ანალიზი, შედეგების განმარტება და ინტერპრეტაცია, დაკონკრეტება და განზოგადება, დასაბუთებული დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავება;</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, მოვლენების და კონკრეტული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება, შესაძლო შედეგების პროგნოზირება და შეფასება, ინფორმაციის/მასალების დამუშავება და ანალიზი, სწორი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესებზე დაკვირვება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე სპეციფიური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერილობითი და ზეპირი

	<p>ფორმითდაინტერესებულიპირებისათვის (სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის) ინფორმაციის მიწოდება, პრობლემის აღწერადამისიგადაჭრის გზების შესახებ მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთება, არასპეციალისტებისათვის სფეროს საკითხების განმარტება, სპეციალისტებთან კომუნიკაციისას – არგუმენტირებულიდილოგის და დისკუსიისწარმართვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით ქართულ და უცხოურ (ინგლისურ და ფრანგულ) ენებზემოლაპარაკებში მონაწილეობა და საქმიანი ურთიერთობების განხორციელება (საქმიანი მიმოწერა, კომენტარების და ანგარიშების შედგენა, ელექტრონული კომუნიკაცია და სხვ.); • უცხოურ (ინგლისურ და ფრანგულ) ენებზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე - ენის მატარებლებთან შეუფერხებელი საუბარი და მიმოწერა, მათ შორის დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: გლობალური კომპიუტერული ქსელების გამოყენებით მასალების მოძიება, რელევანტური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება და სხვ., ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და და ა.შ. მუშაობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის და კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის დამყარების მიზნით; • იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გადაცემა ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; • ინგლისურ- და ფრანგულენოვანი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის ინგლისურ- და ფრანგულენოვანი ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობა, ინფორმაციის და მასალების მოძიება და ქართულად თარგმნა; • ორგანიზაციის სტრუქტურულ, ორგანიზაციულ, ტექნიკურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია.
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება,

	<p>თვითგანვითარებისა და საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერება;</p> <ul style="list-style-type: none"> • მიღწეული პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო წყაროების, საცნობარო (ენციკლოპედიების, ლექსიკონების, ცნობარების, საძიებლებების, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების, მონაცემთა ბაზების და სხვ.) და სპეციალური დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება-გაცნობა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით დამუშავება, ცოდნის განახლებამეცნიერების და პრაქტიკის სფეროში არსებული სიახლეებისა და მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით; • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, მუდმივი განვითარების მზაობა და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა. • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების და დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება; • მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება.
<p>ღირებულებები</p>	<p><u>კურსდამთავრებულს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში დამკვიდრებული ეთიკური და მორალური ნორმების დაცვისა და მათ შესაბამისად ქცევის უნარი; • სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი; • სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიღმა არსებული საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების და გათვალისწინების, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტების, თანამედროვე საზოგადოების განსხვავებული სოციალური, ეროვნული, რელიგიური, პროფესიული ერთობებისა და ჯგუფების ღირებულებით-მსოფლმხედველობითი თავისებურებების გააზრების და ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების დაცვის და ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი, შეუძლიამათ დასამკვიდრებლად სწრაფვა და აქვს სოციალური პასუხისმგებლობა. • პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
--	---

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კურსები:

სასწავლო კურსების შესწავლისას სტუდენტის გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასებაითვალისწინებს ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერთო სისტემაში:

- სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვ.
- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 35 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმალური 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს;
- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;
- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში;

- ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული კომპონენტის შეფასება ხდება ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით, სტუდენტის მიერ მომზადებული საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასებისა და მისი დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრეზენტაციის შეფასების საფუძველზე. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტის მიღწევების შეფასების 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად, რომლის თანახმად მაქსიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 100 ქულას, ხოლო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. საბაკალავრო ნაშრომს რეცენზენტი აფასებს მაქსიმუმ 60 ქულით: ნაშრომის არქიტექტონიკა და ტექნიკური პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან - 10 ქულა; ნაშრომის შესავალში დასახულ მიზნებს სრულად შეესაბამება დასკვნაში ასახული კვლევის შედეგები - 10 ქულა; აზრი სტრუქტურირებულად ზუსტადაა გადმოცემული - სისტემურადაა ფორმულირებული განხილული საკითხების ადეკვატურობა და შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია - 15 ქულა; დასმული საკითხი არსებითად ამოწურულია, განხილულია რელევანტური ლიტერატურა, დასკვნები არგუმენტირებულია - 15 ქულა; ციტირების ტექნიკა დაცულია და ნაშრომის ორიგინალობა დადასტურებულია ავტორის მიერ - 10 ქულა. პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით; პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია - 10 ქულა; პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა; დასკვნების არგუმენტირება - 10 ქულა; პოზიციის დაცვა - 10 ქულა.

საკონტაქტო პირი: მაია ჭანია
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი
ტელ.: (+995) 514 404 400
ელ-ფოსტა: maiachania@gmail.com

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

Bachelor of Arts in Humanities

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი რუსუდან კავთიაშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ქვეყნის და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები; ასევე ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიან შესწავლას კომუნიკაციის ოთხი ფორმით - გამართული კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება; პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციების შექმნა და მათი გამოყენების ნორმების ცოდნა, რაც განაპირობებს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და შესაბამისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს; პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე.

ბაკალავრი შესასწავლი თეორიული და პრაქტიკული მასალის შერწყმით და გაანალიზებით, რელევანტური მეთოდების გამოყენებით, მიზეზ-შედეგის ურთიერთ-მიმართების გაცნობიერებით და დასაბუთებული პასუხების მიღებით, გამოიმუშავებს შესაბამის და საჭირო უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული ექნება ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათი დამკვიდრების საჭირო უნარ-ჩვევები, პროფესიული განვითარების მოტივაცია, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე და მოახდინოს შესაძლებლობების რეალიზაცია. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის ქართულ და უცხოურ ენებზე აზროვნების განვითარებას და მოსაზრებების გამართულად გადმოცემას ტრანსფორმაციული უნარის გამოიმუშავებით, შეძლებს სასწავლო პროცესის შეფასებას და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენას და აუცილებლობას.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ინგლისური ფილოლოგიის სფეროს კონკრეტულ პრაქტიკულ სპეციალობაზე, ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნაზე, უნარებზე და კომპეტენციებზე და მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ ტიპს, აქვს პრაქტიკული პროფილი. წინამდებარე პროგრამაში ხდება ძირითადი სპეციალობის (ინგლისური ფილოლოგიის) და თავისუფალი კომპონენტების კომბინირება და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების ჩამოყალიბება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სინთეზის საფუძველზე. "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის პროფილის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ბაკალავრის დასაქმების პირობები ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი ცოდნის (სპეციალობის) და ზოგადი ცოდნის (ზოგადინტელექტუალური და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარების) სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების ინგლისური ფილოლოგიის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და სპეციალობაში სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი. ზოგადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობის ხელშემწყობი სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. თავისუფალ კომპონენტებში მოიაზრება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა შესაძლებელია ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავენ საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

სავალდებულო კომპონენტები:	160 კრედიტი
<i>სავალდებულო სასწავლო კურსები:</i>	
<i>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები;</i>	<i>30 კრედიტი</i>
<i>სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;</i>	<i>130 კრედიტი</i>
არჩევითი კომპონენტები:	80 კრედიტი
<i>არჩევითი სასწავლო კურსები;</i>	
<i>თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები.</i>	

შენიშვნა: თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომლებიც მოიაზრება საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საფეხურის აღმწერის სათანადო დონით:

<p style="text-align: center;">ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><u>ბაკალავრი ფლობს:</u> ინგლისური ფილოლოგიის სპეცილისტიკისათვის აუცილებელ პროფესიულ ჩვევებს; მხატვრული და სპეციალური ლიტერატურის გაცნობიერების უნარს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ენას, როგორც მკაცრ სისტემურ მექანიზმს, სამეტყველო სტილის, გამოთქმის, წყობის, ლექსიკური და გრამატიკული კატეგორიების, სტილისტური ხერხების დაუფლებით; შეუძლია ინგლისური ფილოლოგიისთვის დამახასიათებელი კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ცოდნას ენის ინგლისური და ამერიკული ვარიანტების დიფერენციაციაზე, მის დიაქრონულ განვითარებაზე; საგაზეთო და ბიზნესის ენის თავისებურებებს.</p>
<p style="text-align: center;">ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u> საუბრის, თხრობის ეფექტურად წარმართვა ინგლისურ ენაზე; ინტერპრეტაცია, თარგმნა, ტექსტის ანალიზის და რეპროდუქცია ინდივიდუალური კომენტარებით; ინგლისურ ენაზე წერილობითი ფორმით კორესპოდენციის, რეფერირების, თარგმნის (ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით), ანოტაციის და სხვა წერილობითი ფორმების წარმოება; ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; სტატიების რეზიუმირება, რეფერირება, მთარგმნელობითი პროცესების წარმართვა, ტრანსფორმაციული უნარის გამოყენება ეფექტურად და სხვ. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>
<p style="text-align: center;">დასკვნის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს აქვს:</u> ანალიტიკური და აბსტრაქტული აზროვნების დემონსტრირების და განსახილველი საკითხების სწრაფად გადაჭრის უნარი; ენათმეცნიერული და ლიტერატურული საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარი; ინგლისური ფილოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განზოგადების უნარი;</p>

	<p>განყენებული მონაცემების საფუძველზე ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u> გამართულად გადმოსცეს აზრი წერილობით და ზეპირად; დაამყაროს ურთიერთობა უცხოურ ენებზე ინდივიდუალურად და ჯგუფში გუნდური მუშაობისას; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; საქმიანი დოკუმენტების შედგენისას, ანოტაციების, რეფერირების და პრეზენტაციების მომზადებისას აზრის ლაკონურად და ლოგიკურად გადმოცემა; შეასრულოს დასახული ამოცანა, საკომუნიკაციო მიზანდასახულობით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. ქართულ და უცხოურ ენებზე სპეციფიური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით დაინტერესებული პირებისათვის (სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის) ინფორმაციის მიწოდება და პრობლემის აღწერა. არასპეციალისტებისათვის სფეროს საკითხების განმარტება, სპეციალისტებთან კომუნიკაციისას დიალოგის და დისკუსიის წარმართვა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>ბაკალავრს შეუძლია:</u> საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, მუდმივი განვითარების მზაობა და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა; ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებს და დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება; მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p><u>ბაკალავრს აქვს:</u> პროფესიული პასუხისმგებლობა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარი; პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვა;</p>

პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირებაში მონაწილეობის სურვილი და დასაბუთებული მოტივაცია მის დასამკვიდრებლად.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კურსები:

სასწავლო კურსების შესწავლისას სტუდენტის გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერთო სისტემაში:

- სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვ.
- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 35 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქს. 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს;
- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;
- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში;
- ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით, რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა)

ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

საკონტაქტო პირი: მაია ჭანია

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი,

ასოცირებული პროფესორი

ტელ.: (+995) 514 404 400

ელ-ფოსტა: maiachania@gmail.com

